

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2019 წლის 30 აპრილის N 28/19 ოქმით

მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა

მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა, ემსახურება ისეთი მიდგომის შექმნას, რომელიც ორგანიზაციას ხელს შეუწყობს დასახული მიზნებისა და ამოცანების მაქსიმალურად სწრაფად, ხარისხიანად და ნაკლები დანახარჯებით შესრულებას.

აღნიშნული დოკუმენტით რეგულირდება უნივერსიტეტის მუშაობის ეფექტიანობის გაზრდის გზები, მონიტორინგის მექანიზმები, როგორც სტრუქტურული ასევე თითოეული თანამშრომლის დონეზე.

მართვის ეფექტიანობის მიზანია - სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული ყველა მიზნის განხორციელება.

აღნიშნული დოკუმენტით უნდა მოხდეს ეფექტურად მართვა შემდეგი საკითხების:

- უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის შედგენა და მისი ეტაპობრივად განვითარება
- ორგანიზაციის სუსტი და ძლიერი მხარეების განსაზღვრა, შეფასება და ანალიზი
- ყველა იმ ცვლილების გათვალისწინებით რომელიც შეიძლება ორგანიზაციის შიგნით ან გარეთ არსებობდეს, სტრატეგიული მიზნების დაზუსტება/ცვლილება და შესრულებისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფა

მექანიზმი და შეფასების სისტემა

მისი ფუნქციებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, აღნიშნული პროცესი მოიაზრება როგორც თვითრეგულაცია, რომელიც მართვის პროცესში უზრუნველყოფს უკუკავშირს.